სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

29 აგვისტო, 2023 წ

ბრძანება N 01-02/158

2023-2024 სასწავლო წლისათვის „ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ევროპის უნივერსიტეტებში საერთაშორისო მობილობის მონაწილე ბსუ-ს აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტთა გამოსავლენად კონკურსის ჩატარების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №01-06/89 დადგენილების, "PEERS" პროექტის, ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილის (24.08.2023 წლის №1030753) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. „2023-2024 სასწავლო წლისათვის „ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ევროპის უნივერსიტეტებში (მინიოს, ევორას და ავეიროს უნივერსიტეტებში, პორტუგალია) საერთაშორისო მობილობის მონაწილე აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტის გამოსავლენად **განისაზღვროს შემდეგი ვადები და კრიტერიუმები:**

ა) საკონკურსო კომისიის მიერ იმ პირების საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება და შეფასება, რომლებიც დარეგისტრირდნენ ელექტრონულ პლატფორმაზე https://formularios.reitoria.uminho.pt/index.php?_r=survey/index&sid=289839&lang=en 2023 წლის 31 მაისამდე - 2023 წლის 29 აგვისტო, 15:00 საათზე;

ბ) კონკურსანტთა სიების გადაგზავნა მიმღებ უნივერსიტეტში - 2023 წლის 30 აგვისტო;

გ) გამარჯვებულ კონკურსანტთა გამოვლენა - "PEERS"-ის პროექტის ადმინისტრირების ჯგუფის მიერ (პორტუგალია).

2. დამტკიცდეს კომისიის შემადგენლობა:

ა) მერაბ ხალვაში - რექტორი (თავმჯდომარე);

ბ) ანზორ ბერიძე -რექტორის მოადგილე (თავმჯდომარის მოადგილე);

გ) თამარ სირაძე- -რექტორის მოადგილე;

დ) ვლადიმერ ღლონტი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

ე) ნუნუ ჯაფარიძე - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი (მდივანი);

ვ) თეონა ბერიძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;

ზ) რამინ ცინარიძე - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე; ფაკულტეტის დეკანი;

თ) გაიოზ ფარცხალაძე - ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი.

3. საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის საფუძველზე კომისიამ დაადგინოს და მიიღოს კონკურსის საორგანიზაციო საკითხთან დაკავშირებული სხვა გადაწყვეტილებები, რასაც არ ითვალისწინებს წინამდებარე ბრძანება, მაგრამ გამომდინარეობს პროექტიდან.

4. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, შესაბამის ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და კომისიის წევრებს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**